

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.ვანი თავისუფლების N65

8 მაისი 2018 წელი

11.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, კობა მაგნიძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი NI

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ის წ ე ს რ ი გ ი

1. ა (ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: /გიგა ბუაძე/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გიგა ბუაძემ კომისიის წევრებს ესაუბრა (ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, დაფუძნებული 2007 წლის 5 აპრილს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

ცენტს არ გააჩნია საკუთარი ფართი და ის დროებით განთავსებულია ვანის საავადმყოფოს შენობის მე-2 სართულზე.

კომისიის წევრმა დავით ხარძეიშვილიმა დასვა კითხვა; ძირითადად რა ფუნქციები შედის ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობაში?

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

ადგილობრივი თვითმართველობის ხელმძღვანელობის ინფორმაცია;

პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება;

ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა;

დაავადების კონტროლის პირველადი ღონისძიებები;

ლაბორატორიული სინჯის აღება.

სხვა ფუნქციების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

ასევე კომისიის თავმჯდომარემ მომხსენებელს მიმართა კითხვით; სულ რამდენი თანამშრომელი არის დასაქმებული და რამდენი სამედიცინო დაწესებულება ფუნქციონირებს ჩვენს მუნიციპალიტეტში?

მომხსენებელი პასუხობს:

სამსახურში დასაქმებულია 12 თანამშრომელი, ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის 1 სტაციონარულ-პოლიკლინიკური გაერთიანება - ჯეოპოსპიტალსი-ვანი“, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური-03,შ.პ.ს. „ფარმაცია-ვანი“ - დიაგნოსტიკური ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ცენტრი და 17 ამბულატორია, უფრო კონკრეტულად 17 „სოფლის ექიმი“ და მათთან ერთად 18 „სოფლის ექთანი“.

რაც შეეხება სოფლის ექიმებს, უმეტესობას არ გააჩნია არა მარტო საკუთარი შენობა, არამედ - ფართიც.

აქვე მინდა აღნიშნო , რომ ისეთ სოფლებს როგორებიც არის საპრასია-უხუთი და სულორი-ძულიხი, ემსახურება თითო ექიმი, სოფლების მდებარეობიდან და მათ შორის არსებული მანძილიდან გამომდინარე, შეუძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია, თუ დააყენებთ შუამდგომლობას შესაბამის უწყებაში, ამ სოფლებისათვის დამატებით ორი ექიმის შტატის დაშვების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ თქვენს მიერ მოწოდებული წინადადება დავაყენოთ შესაბამის ორგანოსთან და უახლოეს მომავალში დავაკმაყოფილოდ, რაც აუცილებელია აღნიშნული სოფლებისათვის.

გადაწყვეტის:

კომისიამ მოიწონა ა (ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობა და მადლობა გადაუხადა ცენტრის დირექტორს.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე